სამშაბათი, 1918 წ. მკათათვის 9 № 133
წელიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 40 კაპ; რკ. გზის სადგურებზე 50 კაპ.

სამშაბათი 1918 წ. მკათათვის 9 № 133

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვევით და ერთ გვერდზე. წერილზე ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უსახელო მასალა უყურადღებოდ რჩება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, კვირა უქმე დღის. სარედაქციო საქმეების გამო პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

კონტორა

„საქართველოზე" ხელის მოწერა მიიღება შემდეგ: სამი თვით ... —18 მ. თვეში (...) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 40 კ. განცხადების ფასი სტრიქონზე პეტიტის პირველ გვერდზე 60 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება ... ზომით: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. ... ქალაქის გარეთ 1 მ. და 50 კ. ფულები და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საქმეში განცხადებანი უნდა მოტანილი იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართველი ქალებისა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

სახელმწიფო თეატრი
სამშაბათს 9 ივლისს გაიმართება
ეროვნული კონცერტი ქართველთა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთ მომღერალთა გაძლიერ. გუნდი კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილის

ლოტბარ ოპერის შემსრულებელს ქართულ კომპოზიტორთა ნაწარმოები. ქ-ნ კალანდაძის, ოპერის მომღერალ ი. პ. სარაჯიშვილის და ბ. ქ. ინაშვილის მონაწილეობით. განყოფილება 1-ლი: 1. კ. ფოცხვერაშვილი—..., შეასრულებს გუნდი. 2. ზ. ფალიაშვილი—ალი ფაშა, შეასრულებს გუნდი. 3. დ. არაყიშვილი—„ნეტავ ქება", თქ. „მთით რუსთაველიდან", სოლოს შეასრულებს ბ. ინაშვილი. 4. მ. ბალანჩივაძე (სამშობლო ხევსურისა), შეასრულებს სოლოს გუნდთან ინაშვილი. 5. ნ. სულხანიშვილი—მესტვირული, სოლოს გუნდთან შეასრულებს მთ. დიაკ. დ. სალარიძე. განყოფილება მეორე. 1. ვ. ჯაბადარი—ა) სული ობოლი, ბ) საჭიდაო. რომანსები, შეასრულებს ქ-ნი კალანდაძე. 2. დ. არაყიშვილი—მიდელი, რომანსი, შეასრულებს ქ-ნი კალანდაძე. 3. ზ. ფალიაშვილი—ნანა, შეასრულებს გუნდი, 4. ა. ყარაშვილი—ა) მრავალ ჟამიერ ბ) მგზავრი—შესრ. გუნდი. 5. ნ. სულხანიშვილი—მაშ გამარჯვება, შესრ. გუნდი. განყოფილება მესამე. 1. ნ. სულხანიშვილი—ჯუთხური, სოლოს გუნდთან შესრ. ი. პ. სარაჯიშვილი. ა) ნანა. ბ) ... 2. მ. ბალანჩივაძე—ა) შენ გეტრფი მარად... შესრ. ი. სარაჯიშვილი. ბ) ... მოიხა ფოთოლი, დუეტი, შესრ. ქ-ნი კალანდაძე და ი. პ. სარაჯიშვილი. 3. სულხანიშვილი—სამშობლო ხევსურისა, სოლოს გუნდთან შესრ. ი. პ. სარაჯიშვილი.
გუნდი გაძლიერებულია ოპერის გუნდით. აკომპანიმენტს როიალზე შეასრულებს ქ-ნი მესხიშვილი. კონცერტზე მოწვეულ არიან ყველა უცხო სახელმწ. წარმომადგენლები.
გამგე ი. აბაშიძე.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ქართული სამხედრო ბათალიონის ოფიცრები და ჯარისკაცები ღრმა მწუხარებით აცხადებენ, რომ ს. ხოსტაში (სოხუმის ოლქი) ჩვენი ქვეყნის მტრებთან ბრძოლაში 5 ივლისს გმირულად დაიღუპნენ სამშობლოსა და რევოლუციისთვის თავდადებულნი პორუჩიკი
ვლადიმერი ფირცხალავა, პრაპორჩიკი კონსტანტინე მასხულია, ჯარისკაცები: ანტონ ტაპიძე, გრიგოლ კუხალეიშვილი, ვარლამ გამყრელიძე, ლევან ჯალაღანია, ნესტორ მიმინოშვილი, კალისტრატე კორძაია, ბესარიონ გოგანიძე
პანაშვიდი სამშაბათს 9 ივლისს და ხუთშაბათს 11 ივლისს დილით 11 საათზე ბათალიონის ბინაზე, გუდიაშვილის ქუჩა № 21.
(2—1)

გაზეთ „საქართველოს" კანტორა
მოაგონებს პატივცემულ ხელის მომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული (მეორე ნაწილი) არ შემოუტანიათ, 10 ივლისამდე წარმოადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთის გზავნა მოესპობათ.

ფინანსთა სამინისტრო ამით აცხადებს
რომ მისგან დანიშნულია
კონკურსი ას-მანეთიანი ბილეთის
ნახატის შესამუშავებლად. უკანასკნელი ვადა ნახატის წარმოდგენისა 21 ივლისია, ნაშუადღევის 2 საათამდე. დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება სამინისტროს კანცელარიაში 1—2 საათამდე ყოველ დღე.

საქართველოს კონტორა
აცხადებს, რომ 3 ივლისიდან გაზეთი „საქართველო" ღირს თბილისში და პროვინციაში—40 კაპ., ხოლო რკინის გზის სადგურებზე 50 კ.

საგარეო და საშინაო

საქართველოს პოლიტიკამ უნდა გადალახოს რუბიკონი. უკან დასახევი გზები მოსპობილია. ჩვენი ხსნა განუწყვეტელ მსვლელობაშია იმ გზით, რომელიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ აღინიშნულა ჩვენს საშინაო პოლიტიკაში.

რევოლუცია დასრულებულად უნდა მივიჩნიოთ. უნდა დავაღწიოთ თავი რევოლუციონურს ნგრევას და ახალი ცხოვრების აღმშენებლობას მოვკიდოთ ხელი. დღეს უკვე ვხედავთ, რომ რევოლუციონურმა ტალღებმა წაღეკა არა მარტო ის, რაც დასანგრევი იყო, არამედ გაცილებით მეტი. რევოლუციონური სტიქიონის ამის შემდეგომ მძვინვარება საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლებს ემუქრება და ეს მაინც უნდა შევაჩეროთ.

რევოლუცია უდიდესი სენია საზოგადოებრივ ცხოვრებისათვის. მაგრამ ყველას ერთნაირად როდი ჰკიდებს ხელს ეს ავადმყოფობა. მის შემდეგომ ზოგი ერთგვარი სხეული ახალი ძალით და ენერგიით აღიჭურვება და ზოგი კიდევ ვერ უძლებს ამ სენს, კიდევ უფრო უძლურდება და სუსტდება.

რევოლუციას უარყოფითი თვისებები ჩვენშიაც მლიმად აღმოჩნდა. რევოლუციონურმა ფსიხოზმა შეიპყრო ქართველი ხალხი და გაუქრო მას ცხოვრების სადი შეგნების ნიჭი, აღუძრა განუხორციელებელი იმედები, მიუდუნა ენერგია და შრომისმოყვარეობა. ამ ნიადაგზე წარმოიშვა და გაცხოველდა ანარქია და ყოველგვარი ბოროტი ინსტიქტები.

მაგრამ საქართველოს რევოლუციის დიდი „მონაპოვარიც" აქვს. ყველაზე უდიდესი საქართველოს სუვერენობის აღდგენაა.

მრავალია ისეთი სნეული, რომლის მკურნალობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ავადმყოფისათვის ისეთი პირობები შეიქმნას, რომ სხეულმა ბუნებრივი გზით მიაღწიოს კრიზისს და ამის შემდეგომ განკურნებას. ასეთს შემთხვევებში ყოველივე დოსტაქრობა და სენთან შებრძოლება ამიზეზებს და ართულებს ავადმყოფობას.

საქართველო ასეთი სენით იყო შეპყრობილი და ჩვენს მთავრობას შეადგენდა, რომ ძალდატანებით არ ვცდილიყავით ეროვნული სხეულიდან ამ სენის განდევნას, ვინაიდან ეს მხო- [illegible] ვანს, არამედ გვეზრუნა, რომ ავადმყოფობას [illegible] რიგად დასრულებულიყო.

საქართველომ უკვე გადიტანა რევოლუციური კრიზისი და განკურნების გზას დაადგა. მაგრამ ცხოვრება ომია, ბრძოლა ულმობელი ერთა შორის, ხალხთა შორის. არავინ დაინდობს საქართველოს მხოლოდ იმიტომ, რომ ის მძიმე ოპერაციის შემდეგომ სისუსტეს და უძლურებას განიცდის. ამის მაგალითები ჩვენ უკვე ვიგემეთ შინ და გარედ.

უნდა დავაჩქაროთ საქართველოს პოლიტიკის გაჯანსაღების პროცესი. უნდა დაჩქარებით მოვუშუშოთ ძველი ნანგრევებს, რომ ახალი ცხოვრების შენებას მოვკიდოთ ხელი.

მრავალი ხიფათისა და მწარე განცდის შემდეგომ ჩვენ ქართველ ერს საიმედო ჰორიზონტები ეშლება თვალწინ. უნდა მოვიკრიბოთ ყოველი ძალა და ღონე, რომ დაჩქარებით განვაგრძოთ მსვლელობა ამ საიმედო მომავლისაკენ. დღეს ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი გაძლიერება მარტო შინაურს ჩვენს სუსტს ძალებზე არ არის მინდობილი. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენს გარეშეც მოიპოვება ძალები, რომელნიც ხელს შეუწყობენ საქართველოს მტკიცედ საკუთარს ფეხებზე დადგომას და გაძლიერებას.

და ჩვენ უნდა შევათანხმოთ ის ძალები, რომელნიც ჰქმნიან ჩვენს ახალს ცხოვრებას და ის ძალები, რომელნიც ხელს უწყობენ და ეხმარებიან ამ შინაურ ძალთა ზრდას და გაძლიერებას. მრავალი პატარა ერი დამდგარა საკუთარს ფეხზე და მტკიცე სახელმწიფოებრივი ცხოვრება შეუქმნიათ გარეშე ქვეყნების, უცხო სახელმწიფოების დახმარებით, გარეშე ძალების გონივრულად გამოყენებით. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ჩვენი ახალი მოკავშირეების ინტერესებსა და სურვილებს შეეფერება, რომ შეიქმნას საქართველო ძლიერი. ამ მხრივ მრავალი დახმარება ვცადეთ მათგან ამ მოკლე დროში. უნდა ნათელვყოთ, საჭიროებით გამოვარკვიოთ ჩვენი მათთან დამოკიდებულება, ყოველ მხრივ—ეკონომიურად, პოლიტიკურად თუ სამხედროდ და შინაგან ძალთა გარეშე დახმარებასთან შეფარდებით დაჩქარებით შევუდგეთ ძლიერი საქართველოს შექმნას.

რყევა და გაუბედაობა, პოლიტიკური მორცხვობა და ორჭოფობა დამღუპველია ჩვენთვის განსაკუთრებით ამ ჟამად, როდესაც უნდა აღინიშნოს და გაიკვეთოს საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის გზები.

ჩვენ გვემუქრება შინაური ანარქიის სტიქიონი, მაგრამ საქართველოს [illegible] განშორებია. აღდგენილი საქართველოს სახელმწიფოებრივობას ხიფათს უმზადებს ფინანსიური მდგომარეობა, სიმშილი და სიღატაკე. დროზედ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რომ გაცხოველდეს მიძინებული ეროვნული ენერგია, დაიწყოს და მოწესრიგდეს ჩვენი მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა და საზოგადოდ დაიწყოს წესიერი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, დაჩქარება გვმართებს.

ა. ახათიანი.

პრესის გარშემო

გაზ. „ერთობა" ამ ბოლო დროს თავის თანამშრომლების ჯარით ჰმართავს „საქართველოს" წინააღმდეგ წერილების წყობაში. შაბათის ნომერში მოთავსებულია ვრცელი წერილი სხვადასხვა ავტორებისა „საქართველო"-ს და ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგ. ორივე წერილის ავტორები ერთმანეთს ეჯიბრებიან და ეჯიბრებიან სიცრუეში და ლანძღვაში.

პირველ წერილის ავტორი ბოდიშს ჰხდის სოციალდემოკრატიულ მთავრობას და ჰფიცავს დაამტკიცოს, რომ სოციალდემოკრატებს სახელმწიფოს მმართველ-გამგებლობაში დიდი ნიჭი და უნარი შესწევთ, მაგრამ თუ ყველა მოვალეობას ისინი სათანადოდ ვერ ასრულებენ ეს მხოლოდ მით აიხსნება, რომ ისინი მთელს სახელმწიფოს უდგიან სათავეში და აუარებელ სამუშაოს აწარმოებენ.

რუსული ანდაზა ამბობს: ვინც არაფერს აკეთებს ის არც არაფერს აფუჭებსო", ჩვენ კი გადაჭრით მოვახსენებთ პატივცემულ „ერთობელებს", რომ ვინც საქმის გაკეთებას მარტო ლაპარაკში ჰხედავს ის ნიადაგ საქმეს აფუჭებს და ვინც პატარა საქმეს გააკეთებს და დიდს კი სამუდამოდ დაშლის და ძირს გამოუთხრის, მან რომ სულ არაფერი გააკეთოს ისა სჯობია.

ოპოზიციას მუდამ დიდი ნიადაგი აქვს თავისი ოპოზიციური შემოქმედება გამოიჩინოს და შეცდომების აღნიშვნით და სწორი გზის ჩვენებით თავისი პოლიტიკური სარისტიანობა გამოიჩინოსო, ბრძანებს „ერთობელი", მაგრამ რა აზრი აქვს ამგვარ ფრაზას თუ ჩვენ უკვე არა ერთი და ორი მაგალითიდან გამოვსცადეთ, რომ ჩვენი კრიტიკა, წრფელი და მიუდგომელი, მათში მუდამ ჟინიანობის და გაჯიუტების სურვილს იწვევდა და იწვევს. ჩვენი „ოპოზიცია" არა ერთხელ უჩვენებდა სწორე გზას საქართველოს დემოკრატიის „პატენტიან" მეთაურთ, მაგრამ ისინი [illegible] ლმე, ოღონდ კი თავისი გაეტანათ. ამგვარ პირობებში მათ პოლიტიკურ მოღვაწეობის ყოველგვარ „მოწონებას თუ დაწუნებას" თავისი აზრი ეკარგება.

„ერთობა" ლაქიობას ჩვენ გვიკიჟინებს! „ჩემი შენ გითხარ, გულო მოგიკალო" ამბობს ქართული ანდაზა და სხვა რომ არა მოვიგონოთ რა „ერთობას" ის მაინც გაიხსენოს, როგორი თმა-გაწეწილი, დრეკით და მუდარით, მართლაც-და ნამდვილ „ლაქიურ" ფსიხოლოგიით და ტერმინოლოგიით კალთებს აგლეჯდნენ რუსეთის რესპუბლიკის ჯალათებს, მიდით გვიპატრონეთ, უთქვენოდ ცხოვრება არ შეგვიძლიან და თქვენი მონა-მორჩილნი გავხდებითო. ან რას მოასწავებს, რომ თქვენი მეზაირახტრენი—მინისტრები ამდენი ხნის განმავლობაში საქართველოში მოკალათებულ „რუს-პროვოკატორებს" კაკუ-მალულობას უთამაშებიან და გადაჭრილი მტკიცე პოლიტიკა ვერ უწარმოებიათ, რათა საქართველოს ტერიტორია გასწმინდონ მრავალ ჯურის შავრაზმელებისა და პროვოკატორებისაგან.

ჩვენ ცილს გვწამებს „ერთობა": რადაც დანოსებში და ამას უწოდებს „ლაქიურ დანოსებს" „პეპრუტანიდან დანახულ მოღალატეების შესახებ".

მადლობა ღმერთს, რომ „პეპრუტანებიდან ცქერის" დრო გავითავეთ და ახლა ქვეყანა ორივე თვალით სასახლის დიდს ფანჯრებიდან და აივნიდან იცქირებით, მაგრამ ალბად დროთა ბრუნვამ იმდენად დაგაბრმავათ, რომ იქიდანაც კი ვერა ხედავთ იმას, რაც პეპრუტანიდანაც კი ადვილი დასანახია ყველა თვალხილულის და გონიერი ადამიანისთვის.

„ეროვნულ-დემოკრატები გაიძახიან, რომ ჩვენ მოგვიწვიეთ, მოგვანდეთ საქმეები, რაც ჩვენ გითხრათ ის გააკეთეთ და ქვეყანაც აშენდებაო", ბრძანებს მეორე მოჯირითე „ერთობისა". სად და როდის იყო, რომ ეროვნულ-დემოკრატები გვემუდარებოდნენ თქვენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში მოგვიწვიეთო? ან რად ჰგონია ს. დ. რომ მათი ნებისყოფაზე დამყარებული ასეთი

ეროვნული

გულუხვი მასპინძლობა „ქვეყნის ტაბლაზე?“ და არც არას დროს არ გეწყვეთით თქვენ, სანამ თქვენ ქართველ ერის ზურგზე სოციალურ ექსპერიმენტების ჯირითს აწარმოებთ.

ზ. ტ.

ომი

დასავლეთის ფრონტზე.

გერმანიის ცნობა

ბერლინი. 6 ივლისის სამხედრო ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის არმია: ლანგემარკას ჩრდილოეთით მოწინააღმდეგის რამდენჯერმე მოტანილი იერიში მოვიგერიეთ. ბრძოლის ველის ნაწილში სომის სამხრეთით არტილერია მთელ დღეს გაძლიერებული მოქმედებდა. საარტილერიო მოქმედება საღამოსთვის სხვა ნაწილებშიაც გაძლიერდა.

გერმანიის კრონპრინცის არმია. მდ. ენის და მარნას შუა და აგრეთვე რეიმსის სამხრეთით დრო და დრო სამხედრო მოქმედება ძლიერდებოდა. ძლიერი იერიშები კლინიანზე, მოვიგერიეთ.

ბერლინი. 6 ივლისის ოფიციალური ცნობა. დღეს, დაახლოვებით ნაშუადღევის 2 საათზე ორმა უცნობმა პირმა სთხოვა გერმანიის საიმპერატორო ელჩს აუდიენცია რაზედაც ელჩი დასთანხმდა. აუდიენცია უნდა მომხდარიყო საელჩოს მრჩევლის რიცლერის და ერთი გერმანელი ოფიცრის თანადასწრებით. რა წამს ეს ორი უცნობი შევიდნენ გრაფ მირბახთან, მათ ამოიღეს რევოლვერები და ესროლეს ელჩს, რომლითაც ელჩი მსუბუქად დაიჭრა თავში, მაგრამ უცნობნი ამით არ დაკმაყოფილდნენ, ესროლეს კიდევ ორი ხელის ყუმბარა და ფანჯრიდან გადახტნენ ქუჩაში გასაქცევად.

გრაფი მირბახი გარდაიცვალა. აუდიენციაზე დამსწრე ორთავე პირი უვნებლად გადარჩნენ. როდესაც ეს ბოროტმოქმედება მთავრობის წრეებში შეიტყვეს ბოროტ-მოქმედების ადგილზე მოვიდნენ საგარეო საქმეთა კომისრები ჩიჩერინი და კარახანი, რომელთაც საელჩოს წევრს რიცლერთან საბჭოს [illegible] მომხდარი ამბის გამო. სამწუხაროდ ბოროტ-მოქმედნი ჯერ ვერ დაიჭირეს. სასწრაფოდ დანიშნული გამოძიების შედეგები ჯერჯერობით საბუთებს იძლევიან ვიფიქროთ, რომ გრაფ მირბახის მკვლელობა მოწყობილია შეთანხმების აგენტებით. (გადაცემულია მოსკოვის რადიო სადგურით).

ბერლინი, 6 ივლისი. რეიხსტაგის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე სტატს-სეკრეტარ კიულმანმა სხვათა შორის შემდეგი სთქვა: „საქართველოს რესპუბლიკამ, რომელთანაც ჩვენ დავიჭირეთ მეგობრული განწყობილება და რომლის ფაქტიური არსებობაც ვიცანით ჩვენ დიპლომატიური ნოტების გაცვლა-გამოცვლით, აქ გამოგზავნა თავისი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელთანაც მეგობრულად ვზიარებთ აზრებს“.

დუშეთის მაზრაში

(დეპეშით გადმოცემა).

ბოლშევიკების ბრბოთა წინააღმდეგ მომქმედი სახალხო გვარდია და რეგულიარული ჯარები ორ რაზმად გაიყო: მარჯვენა არაგვის ხეობაზე მოქმედებს ფურცელაძის და გედევანიშვილის რაზმები. რომელიც სწრაფად მიიწევდნენ წინ. ანანურისკენ, რათა მტრისათვის ზურგიდან შემოევლოთ; მთავარი ძალები პოლკ. კონიევსა და გ. ჯუღელის ხელმძღვანელობით სამხედრო გზით ჯერ დუშეთზე და შემდეგ იქიდან ანანურისკენ მიიწევდა. ამ ჯარების მარჯვენა ფრთას ხელმძღვანელობს გ. ლომთათიძე, მარცხენას—თუთაბერიძე, სამთო ბატარეას — კაპ. ყანჩელი, ცხენოსან ჯარს—პორუჩიკი კუტილია. შუა კოლონა მთავარი ძალებისა და თვით შტაბი სამხედრო გზით მიიწევდა წინ, 1 და 2 ბატარეა სახალხო გვარდიისა და რაზმი შტაბს-კაპიტან სულიკაშვილის მეთაურობით. შეტევა დაიწყო 6 ივლისს, დილის 6 ს. მარჯვენა და მარცხენა ფრთა შეთანხმებით გაუთანასწორდნენ მტერს, რომელიც იძულებული იყო ანანურისკენ უკან დაეხია, რათა ხელში არ ჩაგვვარდნოდა. გაქცეულ მტერს გედევანიშვილის რაზმმა დროზე მიუსწრო და 2 ზარბაზანი და 2 ტყვიისმფრქვეველი წაართვა ანანურსა და ფასანაურს შუა; ტყვედ ჩაგვივარდა 200 კაცი. ბრბოს მეთაურებმა გაქცევით თავს უშველეს. საერთოდ არტილერიის, ქვეითა და ცხენოსანი ჯარი შეთანხმებით და მხნედ მოქმედებენ და მტერი უკვე დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს. მეორე დღეს მტრის დევნა გაგვიადვილდა. ფრონტზე სიკვდილით დასჯაა შემოღებული მოღალატეებისთვის და მძარცველებისთვის.

ამ ბრძოლაში მსუბუქად დაგვიჭრეს 5 კაცი, მოგვიკლეს ქუთელიას 2 ცხენოსანი და ორიც ტყვედ წაიყვანეს, როცა ისინი მტერს ზვერავდნენ. მოკლული ცხენოსნები უწამებიათ, რის შესახებაც ცნობები გვაქვს. ერთ გვარდიელს, როცა მას მოხსენება მოჰქონდა კონიევთან მთავარ შტაბში არაგვში გასვლის დროს წყალში ცხენი წაექცა და დაიხრჩო, შემთხვევით არაგვში დაიხრჩო ერთიც გედევანიშვილის რაზმიდანაც. სხვა მსხვერპლი არ არის. მცხოვრებნი ნელ-ნელა უბრუნდებიან ოჯახს და მშვიდობიან მუშაობას და ცხოვრებას განაგრძობენ. იმ მცხოვრებლებმა, რომლებიც უწინ უნდობლად გვეპყრობოდნენ. დღეს შეიგნეს თავისი შეცდომა და ეხლა ნდობით გვეპყრობიან.

მოსავალს აქვს კარგი პირი უჩანს.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ეროვნული კონცერტი სახელმწიფო თეატრში.** დღეს, 9 ივლისს, საღამოთი სახელმწიფო თეატრში საზოგადოების თხოვნით განმეორდება ეროვნული კონცერტი ქართველთა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდისა კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილის ლოტბარობით. კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ოპერის მომღერალი ი. პ. სარაჯიშვილი, ქ-ნი კალანდაძე და ბ. ინაშვილი. მომღერალთა [illegible] ატრის გუნდი. კონცერტზე მოწვეული არიან ჩვენი მთავრობა და ყველა უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი.

◆ **მკათათვის 9** საღამოს 6 ს. ახალი დროით კათალიკოსის სასახლეში დანიშნულია კირიონის დამკრძალავ კომიტეტის კრება. წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ.

◆ განკარგულება გაიცა, რომ სადგურ ბაკურიანსა და საკოჰვეთზე გავლა და გამოვლა ბაკურიანის კომენდანტის ნებადაურთველად აკრძალულია.

◆ **სათბობ მასალის საკითხის** გადასაწყვეტად შემდგარმა საგანგებო თათბირმა დაადგინა 1 აგვისტოდან შეწყვეტოს ელექტრონის სინათლის მიწოდება თეატრებს, ცირკებს, სინემატოგრაფებს და სხვა გასართობ ადგილებს.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობით თბილისის და ქუთაისის გუბ. ზოგიერთ მაზრებში საერობო არჩევნები უკვე დაიწყო.

◆ თბილისის გუბერნიის კომისარის განკარგულებით კაპიტანი კალიანი საქართველოს სამხედრო გზის დამცველ რაზმის უფროსის თანამდებობიდან და მისი რაზმი დაშალეს.

◆ ს. ბახვასა, ცხესა, დიდიანსა, შვასურებსა და სურებში (ქუთაისის გუბ.) გაიხსნა ტელეგრაფი, რომლებზედაც დაიწყო დეპეშების მიღება.

◆ გუბერნიის კომისარის ბრძანებით დათხოვნილ იქნა სართიჭალის კომისარი აბას კული ნურიევი, თავის თანამდებობისთვის შეუფერებლობისთვის. სართიჭალის ახალ კომისრად დაინიშნა პოდპორ. კ. ოთარიშვილი.

◆ **საქონლის მომწოდებელ** კომიტეტის ცნობებით ტყვიბულის მაღაროები ამჟამად დღეში 20000 ფუთს ქვანახშირს იძლევა. მთელი ეს ქვანახშირი რკინის გზას სჭირდება. ხსენებულმა კომიტეტმა სთხოვა გზათა მიმოსვლის მინისტრს, რომ ქვანახშირს გაუფრთხილდნენ.

◆ **ფოთი.** მომავალ სამოსწავლო წლიდან ნ. ბ. ლოლუას ქალის ფოთის პროფესიონალურ სკოლასთან გაიხსნება პროგიმნაზიის მეორე კლასი. მისაღები გამოცდები დაიწყება 25 აგვისტოდან (ახ. სტ.) პირველ კლასში არის 9 ვაკანსია, მეორეში 11. თხოვნის და საბუთების წარმოდგენა შეიძლება ფოსტით და პირადადაც ყოველ დღე დილის 9—2 საათამდის.

◆ **„განათლების“** საზოგადოების სამხატვრო—სახელოსნო სასწავლებლისათვის საჭიროა გამოცდილი გამგე შესაფერისი სპეციალი ცნობით. მსურველთ შეუძლიათ მიმართონ თბილისში, კიროჩნი ქ. № 18. გამგეობის ხაზინადარს ან. ი. თიკანაძისას.

◆ **ფოთის საგარეო ნავთსადგურის** უფროსმა მთავრობას დეპეშით შეატყობინა, რომ მან საზარგო გემი დაიქირავა უკრაინიდან ფქვილის გადმოსაზიდათ: 1—9000 ტონიანი მე-2—7000 ტონიანი.

◆ **ქარ. ტეხნიკური საზოგადოება.** დღეს, საღამოს 8 საათზე (ახ. დრო), ფრეილინის ქუჩა № 11, შესდგება საზოგადო კრება,—განსახილველია მოხსენება ჰიდროტეხნიკურ სექციის კომისიის: გეგმა წყლის მეურნეობის მოწყობა საქართველოს რესპუბლიკაში და შესაფერი რეორგანიზაცია წყლის სამართველოსი.

კირიონ მეორის დაკრძალვა

ყველა ქართველის გონება, სულისკვეთება და მწუხარება ერთ ტაძარში იყო მიყრდნილი ძვირფას მცხედრის სულის პატივსაცემად. აქვე დაესწრო როგორც ჩვენი მთავრობა, აგრეთვე სხვა, უცხო ქვეყნების წარმომადგენელნი.

— მტერი მოვიდა, რომ აღენიშნა ყოველივე ჩვენი სუსტი მხარე და ესარგებლნა მას ამით, მხოლოდ, მოყვარე—გამოუცხადებდა სრულ თანაგრძნობას დაობლებულ ერს. მე არ შევეხები სხვა მხარეს, გარდა მუსიკისას. რას წარმოადგენს საეკლესიო გალობა? ეკლესიამ (რჯულმა) რამდენიმე საუკუნე, ე. ი. რუსეთთან შეერთებამდის, შეინახა ქართველი. მის ძლევა-მოსილება და სულის სიმდიდრე რჯულში გამოიხატებოდა და ეს არის მისი შემაერთებელი-შემნახავი ძალა. საქარ[illegible] არა-ქრისტიანნი და რაც უნდა უკიდურესს მდგომარეობაში ყოფილიყო ერი ჩაყენებული მტრისაგან, არავითარი სასტიკი ზომები, არც წამება ვერ აღალატებინებდა ჯვარს. რჯული, რწმენა ქართველს ჰბადიდა ვაჟკაცს, რაინდს და პატიოსან-ერთგულ მამულის შვილს. ასე, რომ, ეკლესია უდგავდა ქართველს სულს და სწორედ ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი საეკლესიო გალობა, რომელიც ჩვენ მუსიკის მერჯად ჩაითვლება. რა ჰანგიც უნდა აიღოთ, ყოველივე სილურას საეკლესიო ელფერი ეტყობა. დიდად სამწუხაროა ის მოვლენა, რომ ჩვენი გალობა წერამკეების მაგიერ, გაყინულია ერთ ადგილას. მოგვაკლდა არა ერთი ძველი, საუკეთესო ძველებ—მგალობელთა პირნი. ზეპირ გადმოცემით ჩვენი მუსიკა დროთა-მსვლელობით მახინჯდება. ის გუნდები, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ—მოყვარულები არიან. გუნდი მოკლებულია შინაარს, არავითარი შეხვევა, ასრულება მუსიკალურის მხრივ, რაიმე სიფაქიზე მას არ ეტყობა და ყველაფერი ეს აქარწყლებს გუნდის არსებობას. ჩვენ არ გვყავს გუნდი, რომელიც სისტემატიურად მუშაობდეს, სწავლობდეს მუსიკას, ვითარდებოდეს და სპეციალურ ხასიათს იღებდეს ამ დარგში.

არა გვყავს შტატი მასწავლებელ-მგალობლისა, რომ სულს უდგამდეს გუნდს. ამ მხრივ, ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილება მოგვცა ახლად შემდგარმა სამხედრო კავშირის ქალ-ვაჟთა გუნდმა, რომელიც გამოირჩეოდა სრულიად სხვა გუნდებისაგან თავის შეზავებით, წყობილ გალობით და საერთო დისციპლინით. ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ სამხედრო კავშირის გუნდი უნაკლოა და ჩვენ სიამაყეს შეადგენს—ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ჩვენ მომავალ მუსიკალურ-კულტურის აღორძინებისათვის. თვით დრო მოითხოვს, რომ ჩვენ შევქმნათ აღმასრულებელი ძალა ე. ი. გუნდი, რომელიც გაგვაცნობს ჩვენ მუსიკალურ ლიტერატურას და თავის საუკეთესო შემსრულებლობით დაატკბობს ჩვენ სმენას და განვითარებას ჩვენს სულიერ-გრძნობას.

დიდად საყურადღებოა და ჩვენთვის მოულოდნელი განძია ის გარემოება, რომელიც აღვნიშნეთ დღეს: ეკლესია გამოესალმა საუკეთესო თავის მღვდელმთავარს, ერთგულ მწყემს—მოცულია ცრემლით, დავმარხეთ ტანჯული ჩვენი კათალიკოსი კირიონ მეორე, მაგრამ ამ კუბოსთან ერთად, გლოვის ზართან შეიფინა ჩვენ დაობლებულ ერს ახალი სასიხარულო შუქი. დავმარხეთ ერთი—დაიბადა მეორე. ეს არის მუსიკა ნ. სულხანიშვილისა. დღემდის ჩვენი გალობა იყო ერთფეროვანი და პრიმიტიული. ნამეტნავად ბანი განირჩეოდა თავის სიღარიბით. ტონიკა და სუბდომინანტა შეადგენდა ამის სიცოცხლის ძარღვს. ნ. სულხანიშვილმა გალობას („სულთათანა“) დაჰბერა ახალი სიო და ამით გააცოცხლა მთელი ჰარმონია. ბანს მისცა თავისუფალი ხმის მსვლელობა, დამოუკიდებლობა და სიცოცხლის ენერგია. ნ. სულხანიშვილის მუსიკაში არ ისმის მიყურება არამედ კონტრაპუნქტულად ხმების დამუშავება, მათი შეხვევა, ერთი-ერთმანეთში გაჯიბრება, თავისუფალი განვითარება, ფორმა და ტეხნიკა ევროპისა, ფრიგიის სკალის ფარგლებში, მაგრამ ყველა ეს ჩამოყალიბებულია ქართულ კოლორიტით. ამნაირად, ნ. სულხანიშვილმა ცხადათ დაგვანახვა, რომ ევროპიულ დახვეწილ ფორმაში იგი ქართველია და თავის გრძნობას, სულისკვეთებას ქართველურად გამოხატავს.

დიახ, ნ. სულხანიშვილი თამამად ჩაითვლება პიონერად ახალ მუსიკალურ-ფორმის განვითარებაში. ეს არის სასიხარულო რეფორმა და აღორძინების პირველი ერთგვარი ნაბიჯი.

ილიკო აბაშიძე.

—

კვირას 7 ივლისს სიონის ტაძარში ნაშუადღევის 4 საათზე დაკრძალეს ღვთით განსვენებული აღსრულებულ კირიონ კათალიკოსის ნეშთი.

დილის 9 ნახ. საათზე კათალიკოსის ნეშთი ანჩის ხატის ტაძრიდან სადაც ნეშთი ერთი კვირით ესვენა, მცირე პანაშვიდის შემდეგ სამღვდელოებამ საგანგებო საკაცეზე დასვენებული გამოასვენა. სამგლოვიარო პროცესია მეხრანის ქუჩით გაემართა სიონის ტაძრისაკენ. მთელი ანჩის ხა[illegible]ხით იყო გავსებული. სახლების აივნებზე და სართულებზედაც კი გამოფენილი იყო ხალხი და ნეშთის მიახლოვებაზე პირჯვრის წერით სახავდა თვის პატივისცემას საქართველოს ეკლესიის თავის ნეშთისადმი. სამგლოვიარო პროცესიას წინ უძღოდა ქალაქის მთელი ამქარი თვისი დროშებით ფუტბაზებით და ხელოსანთა ამქრის თავით, მათ უკან საეკლესიო დროშები და ჯვარცმა, კუბოს თავი სამღვდელო პირთა მიერ ზიდული, მგალობელთა გუნდები, უპირველესად ქართველთა სამხედრო კავშირისა საგანგებო ტანსაცმელში გამოწყობილი, კომპოზიტორ ნ. პ. სულხანიშვილის ლოტბარობით: მეტეხის ციხისა, თალაკვაშვილის ლოტბარობით, სიონისა, კ. ჩარკვიანის ლოტბარობით, ლაბაძისა, ბ-ნ სვანიძისა და მოლოდინისა. მგალობელთა გუნდებს მოსდევდა ქალაქის მთელი შემოსილი სამღვდელოება, სამღვდელოებას ეპისკოპოსნი დავით ურბნელი და პიროს ალავერდელი, შემდეგ მიტროპოლიტნი თბილელი ლეონიდე, ჭყონდიდელი ამბროსი და ქუთათელი ანტონი. მათ უკან სიონის წინამძღვართ მოჰქონდათ ხელით კირიონ კათალიკოსის რეგალიები: პანტუფლი, ორი პანაგია, ლამპარი, კვერთხი, მანტია და დიკირ-ტრიკირი. რეგალიების უკან სამღვდელოების საგანგებო საკაცით მხარზე შესვენებული მოასვენებდა განსვენებულის ნეშთს მუხის კუბოში დაცულს და ცინკ ქვეშ დაბეჭდილს. კუბოს სათავეში შუშები ჰქონდა ჩასმული განსვენებულის სახეულის გამოსაჩენად, სახე კი დაფარული იყო გარდახურული. კუბოს ორთავე მხარეს რიპიდები იყო აღმართული. განსვენებულის ნეშთს უკან მოსდევდნენ დამწუხრებული ნათესაობა, აურაცხელი დელეგატები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული, სხვათა შორის განსვენებულის სამშობლო სოფელ ქვემო ნიქოზიდან, რომელთაც კირიონ კათალიკოსმა საკუთარ სახსრით დაუარსა უფასო სკოლა და ბიბლიოთეკა-სამკითხველო, თბილისის ყველა საკულტურო და საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, სპარსეთის კონსული შერიფ-ულ-დოულე, ქართველ კათოლიკეთა [illegible] კომიტეტის მთელი შემადგენლობა, ქართველ კათოლიკეთა სამღვდელოების წარმომადგენელნი მ. ლაზარ გოზალიშვილის მეთაურობით, სომეხთა კათალიკოსის წარმომადგენელნი, სამღვდელოება, ებრაელთა რაბინი მარკუსი, საქართველოს საკათალიკოზო საბჭოს და სასამართლოს წევრები და ბოლოს აზღვავებული ხალხი, რომელთაც მილიციონერთა ხელჩართული რკალი წესიერების დასაცავად ძლივს იმაგრებდა. პუშკინის სახელობის ქუჩაზე საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა მთავარ ბიუროდან პროცესიის მიახლოვებისას ჩამოშვებულ იქმნა ეროვნული დროშა ნიშნად პატივისცემისა განსვენებულისადმი. ერევნის მოედანზე სამგლოვიარო პროცესია გერმანელთა სინემატოგრაფიულ მანქანაზე იყო აღბეჭდილი. ერევნის მოედნიდან პროცესია შუა ბაზრით გაემართა სიონის ტაძრისაკენ. აქაც მთელი ქუჩები, სახლების აივნები და სახურავები ხალხით იყო გავსებული, მაგრამ ყველგან სამაგალითო წესიერება იყო დაცული, ვინაიდან თვით ხალხი ეტყობოდა გამსჭვალული იყო წამებულ ცხედრის პატივისცემით. შუა ბაზარში ჩარაზმული იდგა ქართულ ცხენოსანთა საგანგებო რაზმი. სიონის ტაძარში ნეშტის მისვენებამდე თავი მოეყარათ ჩვენ მთავრობის და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელთ. აქ მოსულიყვნენ საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე კ. ჩხეიძე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრები: შინაგან საქმეთა ნ. რამიშვილი, იუსტიციისა შ. ვ. ალექსი-მესხიშვილი, განათლებისა გ. მ. ლასხიშვილი, ფინანსებისა გ. დ. ჟურული და სასურსათო საქმისა ი. ლორთქიფანიძე, საქართველოს რესპუბლიკის გენერალიტეტის, წევრნი საქართველოს ეროვნულ საბჭოსი, გერმანელთა სამხედრო მისიის მთელი შემადგენლობა გენ. ფონ. კრესის მეთაურობით გრ. შულენბურგი, ავსტრია-უნგრეთის რწმუნებული გრაფი ფრენკელშტეინი, დიპლომატ. წარმომადგ. აზერბეიჯანის რესპუბლიკისა ჯაფაროვი, სომეხთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი ბერბერიანი, საქართველოს სამიტროპოლიტო საეპარქიო და საოლქო საბჭოების წევრთა მთელი შემადგენლობა, მაჰმადიანთა სასულიერო უწყების წარმომადგენელნი, ბერძენთა სამღვდელოების წარმომადგენელნი არქ. პატრიკის მეთაურობით, ტფ. ბერძენთა ახალშენის წარმომადგენელნი კუნდუროვის მეთაურობით, უკრაინელთა რადის წარმომადგენელი მღვდელი ორლიკი, რომელიც განსვენებულის მიერ იყო ხელდასხმული მღვდლად, პოლონელთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელი ვ. ი. ვილკომირსკი, სამხრეთ დასავლეთ რუსეთის სამღვდელოების წარმომადგენელი მღ. პავლსკი, მრავალი დელეგატი საგანგებოდ ჩამოსული საქართველოს ყველა მხრიდან და ჩვენი საზოგადო მოღვაწენი ქალი და კაცი ყველა დარგისა. განსვენებულის ნეშთის შემოსვენებისას ქართველთა სამხედრო კავშირის გუნდმა შეასრულა კირიონ კათალიკოსის სახსოვრად დაწერილი „ტონ-დესპოტინ“ კომპ. სულხანიშვილის მიერ, ხოლო გერმანელთა მისიის წარმომადგენელმა საუცხოვო გვირგვინი (ცოცხალ ყვავილებიდან) შეამკო განსვენებულის კუბო. წირვა სრულ 11 საათზე დაიწყო. მწირველნი იყვნენ საქართველოს ყველა მიტროპოლიტ ეპისკოპოსნი ქალაქის უმაღლეს სამღვდელოების თანამწირველობით. ჰგალობდა ოთხი გუნდი. წირვის წესს გერმანელთა მისია დიდის ინტერესით და გულდასმით ისმენდენ. ფოტ. აპარატებით ზოგიერთ წევრმა გადიღო განსვენებული კუბოში და სიონის სიძველენი. წირვის შუა გერმანელთ დაათვალიერეს სიონის კარმიდამო და მთ. დიაკვნის აივნიდან მტკვრის სანახობაც რომელიც აღბეჭდეს აგრეთვე ფოტ. აპარატით. წირვის გათავებისას განიცადეზე სიტყვა წარმოსთქვა ჭყონდიდელ მიტროპოლიტ ამბროსიმ, ხოლო ანდერძის წინ ტფილელ მიტროპოლიტმა ლეონიდემ. ანდერძი შესრულებულ იქმნა საქართველოს ყველა მიტროპოლიტ ეპისკოპოსების მიერ მთელი ქალაქის სამღვდელოების თანამწირველობით. ხუთ თავ სახარებათა შუა რომელიც წაკითხულ იქმნა ყვე-

183
ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიტროპოლიტ ეპისკოპოსთა მიერ სიტყვები წარმოსთქვეს მიტროპოლიტმა ქუთათელმა ანტონიმ, ღვთ. ნიკ. თაღლაკვაძემ, ეპისკოპოსმა პიროსმა და უკრაინელმა მღ. ორლიკმა.

დასასრულს ქართველთა სამხედრო კავშირის გუნდმა შეასრულა ფრიად საყურადღებო ძველებური ქართულ კილოზე დაწერილი ამ შემთხვევისათვის კომპოზიტორ ნ. სულხანიშვილის „სულთათანა“, რომელიც გუნდმა ავტორისავე ლოტბარობით შეასრულა. საგალობელმა მსმენლებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ანდერძის შემდეგ განსვენებულის ნეშთი შეასვენეს ჯერ ტრაპეზში და შემდეგ სამჯერ სიონის ტაძარს გარს შემოატარეს. აქ ტაძრის გალავანში სიტყვები წარმოსთქვეს სამხრეთ-დასავლეთ რუსეთის სამღვდელოების წარმომადგენელმა მღვ. პავლოსკიმ, გერმანელთა რაბინმა მარკუსმა, პოლონელთა საბჭოს წარმომადგენელმა ვ. ი. ვოლკოვიჩსკიმ, მე-11 ქართულ პოლკის წარმომადგენელმა მღვ. გ. ხახუტაშვილმა და მღ. ვ. კარბელაშვილმა. სიტყვების შემდეგ განსვენებულის ნეშთი შეასვენეს ტაძარში და ეპ. იოანე მანგლელის საფლავ გვერდით გაჭრილ სამარეში, ამბიონის წინ მარჯვენა მხარეს ჩაასვენეს. აქ თავის დახურვამდე უკანასკნელი სიტყვა წარმოსთქვა ბერძენთა ახალშენის წარმომადგენელმა სინკერუსმა ბერძნულად. მგალობელთა გუნდმა უკანასკნელად უგალობა განსვენებულ კათალიკოსს „საუკუნო ხსენება“ და ნაშუადღევის 4-ნახევარ საათზე დამუხლებულმა ხალხმა ნელ-ნელა დაიწყო მიტოვება სიონის არე-მარისა.

ამავე დღეს სამხედრო ტაძარში რუს-ეპისკოპოს ფილოფილაქტოსმა რუს-სამღვდელოების თანამწირველობით წირვის შემდეგ გადაიხადა პანაშვიდი კათალიკოსის სულის მოსახსენებლად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პანაშვიდზე ეპისკოპოსი გამოტირდა.

დაშნაკცუტუნის პარტიის სარაიონო კრების რეზოლუცია

1. საქართველოს დამოუკიდებლობაზე და ეროვნულ კულტურულ ავტონომიის შესახებ:

საქართველოში დაშნაკცუტიუნის პარტიის სარაიონო კრებამ მოისმინა ბ. ქ. გაზაზიანის მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობისა და ეროვნულ კულტურულ ავტონომიაზე და დაადგინა:

საქართველოს დამოუკიდებლობა შედეგია იმ არა ნორმალური და ცუდი შექმნილი პოლიტიკური პირობებისა რომლის გამოც დაირღვა რუსეთის მთლიანი მშრომელი ხალხის ფრონტი, დაიმსხვრა მთლიანობა ამიერ კავკასიის მშრომელი მასისა და წარმოიშვა ეროვნული სახელმწიფო საქართველოსი. იღებს რა მხედველობაში, რომ ეს მდგომარეობა ანტიდემოკრატიულია დაშნაკცუტიუნის პარტია ანგარიშს უწევს საქართველოს დამოუკიდებლობას როგორც უკვე მომხდარ ფაქტს.

რაიონული კრება შეუძლებლად სცნობს რაიმე უფლებების ან თანასწორობის შეზღუდვას რომელიმე ერისას, განსაკუთრებით იმ ერისას, რომელიც უმცირესობას შეადგენს რომელიმე სახელმწიფოს საზღვრებშიაც და უნდა იყოს ეს. სოც. დაშნაკცუტიუნის პარტიის პროგრამა თხოულობს ეროვნულ კულტურულ ავტონომიას ეროვნულ უმცირესობისათვის და ამისათვის კრებამ დაადგინა:

1) მიიღოს აქტიური მონაწილეობა საქართველოს მთავრობაში როგორც სწორ უფლებიან მოქალაქეთ.

2) მოითხოვოს უმცირესობის უფლებების უზრუნველყოფისა.

3) მოითხოვოს ეროვნულ ექსტერიტორიალურ (საქართველოს სომხებისათვის) ავტონომიისა ეროვნულ-კულტურულ საკითხებში დასაკმაყოფილებლად.

2. საქართველოს დამოუკიდებლობის ფარგლებში დაშნაკცუტიუნის პარტია ფხიზლად ადევნებს თვალს ახალგაზრდა რესპუბლიკის პოლიტიკას და დაიცავს მთელი დემოკრატიის ინტერესებს განურჩევლად ეროვნებისა.

ამ მიზნების მისაღწევად საჭიროა სომეხ, ქართველ და მუსულმან დემოკრატიის შორის სოლიდარული მუშაობის მოწყობა, რომ წამოყენებულ იქნას ხოლმე საერთო მოთხოვნილებები საერთო შეთანხმებული ძალებით ამ სამივე ერის დემოკრატიისა. სარაიონო კრებას ღრმად სწამს, რომ მხოლოდ მთელი ამიერ კავკასიის დემოკრატიის შეერთებით განურჩევლად ეროვნებისა და მთელი ფრონტის შექმნით შეიძლება თანდათანობითი განთავისუფლება ექსპლოატატორების ბატონობისა და ეროვნული შუღლის ცეცხლისაგან და შექმნა მთელი დემოკრატიის მშვიდობიანი ბატონობისა.

II. სომხების ეროვნულ საბჭოს შესახებ საქართველოში.

საქართველოში დაშნაკცუტიუნის პარტიის პირველმა რაიონულმა კრებამ განიხილა რა მდგომარეობა სომხის მშრომელი მასისა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში, საჭიროდ სცნო ყველა პოლიტიკურ პარტიებთან შეთანხმებით უახლოეს ხანში შექმნას საქართველოში სომხის ეროვნული საბჭო, რომელიც ერთის მხრით აქტიურ მონაწილეობას მიიღებს საქართველოს სახელმწიფოებრივობის შექმნაში და მეორეს მხრით, როგორც უმცირესობის წარმომადგენელი თავს იდებს ცხოვრებაში გაატაროს სომხების ეროვნულ-კულტურული ავტონომია საქართველოს ფარგლებში.

გერმანიაში

შეიდემან. სოც.-დემ. რეზოლუცია გერმანიაში.

სოციალისტურ უმრავლესობის (შეიდემანოვცების) საპარლამენტო ფრაქციის კომიტეტის სხდომაზე მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია:

„ფრაქციის კომიტეტი იმედოვნებს რომ ცენტრალი კომიტეტი რეიხსტაგის საპარლამენტო ფრაქციასთან ერთად შემდეგშიაც შეეცდება რომ ომი საყოველთაო ზავით დამთავრდეს და ამ ზავს საფუძვლად დაედოს რეიხსტაგის რეზოლუცია მიღებული 19 ივლისს 1917 წელს.

მეორე ნაწილი რეზოლუციისა ეხება საარჩევნო უფლების გადაკეთების საკითხს და მოითხოვს რომ საარჩევნო რეფორმა საჭიროა დროზე მოხდეს და პროტესტს აცხადებს იმ პარტიათა წინააღმდეგ, რომელნიც ხელს უშლიან ამ რეფორმის განხორციელდება!

პროფესორ შეფერის მოხსენება.

ამ ცოტა ხანში ბერლინში პროფ. შეფერმა მოხსენება წაიკითხა აღმოსავლეთის საკითხების შესახებ. შეფერი ამტკიცებს, რომ შეუძლებელია იმის თქმა, თითქოს გერმანეთის გამარჯვებით მოსპობილი თვითმპყრობელობა არ იქმნას შემდეგში აღდგენილი.

ჩვენ არავითარი საბუთი არა გვაქვს ამბობს იგი, ჩავერიოთ ჯერ ისეთ არეულ რუსეთის სახელმწიფო საქმეებში, დავასუსტოთ ან და გავაძლიეროთ ეხლანდელი მისი მთავრობა.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი დაარღვევს უკვე არსებულ ხელშეკრულებას, შეეცდება როგორმე დაარღვიოს გერმანეთის შინაური მშვიდობიანობა ან და ცხადლივ რაიმე დახმარებას გაუწევს გერმანეთის წინააღმდეგ მომქმედ კოალიციას, მხოლოდ იმ შემთხვევაში გერმანია იძულებული იქნება შესცვალოს თავისი პოლიტიკა.

უკრაინის შესახებ პროფესორი იმ აზრისაა, რომ გერმანეთი უნდა სცდილობდეს დაიცვას მჭიდრო უკრაინასთან დადებული ხელშეკრულება. პოლონური პოლკის გაქცევა ბობრუისკში შეფერს გერმანეთის სამხედრო მმართველობის ახალ გამარჯვებად მიაჩნია.

არა გვაქვს არავითარი საბუთი, ამბობს შეფერი, რომ ხელი შევუწყოთ პოლონეთის მთავრობის სურვილის განხორციელებას სამხედრო ძლიერ ძალის შექმნაში.

ლიტვა უნდა იქმნას ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, როგორც ეს ჰსურს ამ ერის უმრავლესობას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პოლონეთის გავლენას ვერ ასცდება. კურლიანდია, ლიფლიანდია და ესტლიანდია უნდა გაერთიანდეს ერთს სახელმწიფოებრივობას ქვეშ გერმანეთის უმაღლეს ხელმძღვანელობით.

ფინლიანდიის სრულს დამოუკიდებლობას ჩვენ მხოლოდ სიხარულით შეგვიძლიან მივეგებოთ. არ შეიძლება რომ ამ ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩავერიოთ. ეს არის გერმანეთის და ფინეთის ურთიერთო დამოუკიდებლობის ერთად-ერთი გასამტკიცებელი სახსარი.

არც ერთი ამ სახელმწიფოებში არ შეიძლება გამოცხადებული იქმნას გერმანეთის ან ჰაბსბურგების დინასტია.

იქ და აქ

იქ 88 მილიონი გერმანელი, ვით ბურჯი რკინა ბეტონით შეზავებული, ოთხი წელიწადია, 1,300 მილიონ მტერს ებრძვის. მათი დევიზია: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ჯერ-ჯერობით მათ შემუსრეს მსოფლიო და დარწმუნდით, რომ შემდეგშიაც ისინი დარჩებიან ძლევა-მოსილი გმირი ლეონიდე ფერმოპილის ტოლი და სწორი.

აქ, საქართველოში, გურჯიც იგივე ბურჯია, რომლის წალეკვა და მოსპობა მტერთა დროთ ვერ მოახერხეს და დარწმუნდით, რომ ვერც ეხლა და ვერც მომავალში ვერ გადასრესს, თუ ჩვენ მოვიგონებთ და გავიხსენებთ ჩვენს საკვირველ და სასწაულის მსგავს ვინაობას. ნათქვამია „ხარი ხართან დააბით, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო“. დიახ, დღევანდელი ჩვენი სახალხო ფერი და ზნე არ არის დადებითი ისტორიული თვისება ჩვენი ერისა. ეს რუსის სენია და უსათუოდ წარმავალია.

იქ, გერმანიაში, სადაც იმპერატორი თავის ქვეშევრდომით კანონის წინაშე თანასწორი პასუხის მგებელნი არიან, რევოლუციას, ე. ი. ძალადობებით სახელმწიფოს გადატრიალებას ადგილი არა აქვს. მტკიცე ზნეობრივ ნიადაგზე აღზრდილი ეხლანდელი გერმანელთა ერი უჩვენებს კაცობრიობას ახალს და ჭეშმარიტს გზას ცხოვრების განვითარებისა და გაუმჯობესებისა და ეს გზაა გზა ევოლუციისა, მშვიდობიანი განვითარებისა.

აქაც, საქართველოში, ესევე მოხდა, როდესაც საქართველოს თ-მა აზნაურობამ უდავოთ და უმტკივნეულოდ უარჰყო თავისი უპირატესობანი და პრივილეგიები. „მე გარდავსულვარ, სიბერე მეწია, ჭირთა უფროა და ძნელი; დღეს არა ხვალე მოვკვდები სოფელი ასე მქმნელია; ჩემი ძე დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“ ეს უკვდავი მოძღვრება იყო და იქნება უზენაესის ზნეობრივ დამცველ ძალად ქართველ ერისათვის. მართალია რუსების ოფიცერების გათხრებულმა სვინიდისმა ვერ შესძლო, რომ არ შეხარბებოდა ჩვენ ძმურ მშვიდობიან ცხოვრებას და არ აეტეხა სამოქალაქო შური, ქიშპი და ომი. ბოლშევიკებს გვერდს ამოუდგნენ ჩვენი ისტორიული „მეგობრები“ ახლა მეზობლებთაგან მაგრამ ეს ავი და ბოროტი ვაებათობები ქართველ ერს ცხოვრების გზას ვერ შეუკავებენ და თავიანთ ბნელს ქსელში თვითონვე ჩაფარდებიან. ნათქვამია: „რაც მოგიხდეს დავითოო, ისე შენი თავითოო“.

დიახ, ეხლანდელ ჩვენ თავისუფალ, დამოუკიდებელ, გაერთიანებულ, დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკაში მეოჯახენი და გამგენი თავიანთი ბედ-იღბლისა უნდა იყვნენ და არიან ქართველები, ქართველთა ტომები, ვისაც ქართველი სისხლი დუღით გულს აძგერებს. არა ქართველებს, ჩვენ სამშობლოში მომწყვდეულს, უნდა ვხედავდეთ როგორც მეზობლებს და სტუმრებს. ცხადია და ჭეშმარიტია, რომ საქართველო ისტორიული და ტრადიციული ბუდეა კეთილმოყვრობისა, მაგრამ ამავე დროს იგი, საქართველო, ყოფილა და იქნება მრისხანე და შეუბრალებელი მაჯული მის მტრებისადმი. დღეს ქართველები და მათი მთავრობა ნათლად ხედავენ, რომ მათ შიგნით და გარეშე აყარებელი მტერი ასევეა და მოსპობას უქადიან და იცით რა იარაღით?

დღეს გირვანქა პური ხუთი მანეთი ღირს! ეს ხომ საშინელი ავაზაკობა და აბრაგობაა, მაგრამ ეს მარტო სპეკულიაციასაც არ მიეწერება. მთავრობას ყოველთვის აქვს საშუალება შეებრძოლოს სპეკულიაციას, თუ მთავრობას შესაფერისი გამოცდილებისა და თავგარიგის ნიჭი აქვს. რა საშინელს პირობებში იყო ამ მხრივ გერმანია, მაგრამ იქ სახელმწიფომ შესძლო სპეკულიანტების აღკვეთა და სურსათ-საქონლის ხალხისთვის წესიერად მიწოდების მოწყობა.

აი ოფიციალური სია ხორაგისა და მისი ფასი დღევანდელ გერმანიაში. დამტკიცებული და ხელმოწერილია გერმანიის სამხედრო მინისტრისაგან 1981 წ. აპრილის თვეში.

რამდენი ერგება 7 დღეში გრამებით

ფასი 1 კილოგრამისა რომელიც ორ გირვანქა ნახევარზე ცოტა ნაკლებია.

ოფიცერს	სალდათს		მარკა	ფენინგი
150	50	ხორცი	4	—
70	—0—	კოფე	1	17
60	—0—	ერბო	6	33
1/2	—0—	კვერცხი	—	30
200	100	ცერცვი, მუხუდო	1	30
200	100	ცერცვის გვარია	1	30
50	—0—	გამხმარი ხილეულობა	7	15
250	250	მჭადის ფქვილი	—	87
100	—0—	თეთრი პურის ფქვილი	4	40
250	—0—	ჭვავის ფქვილი	1	56
100	100	პურის ხორბალი	—	87
150	150	პერლოვის კრუპა	—	78
400	200	თევზი	6	50
400	400	წნილი ბრიუკვა	—	41
60	60	გამხმარი მწვანილი	5	75
800	1000	ჭარხალი	—	10
150	150	შაქარი	1	17
75	50	მურაბა	1	45
100	50	ხაჭო	1	30
3500	3500	კარტოფილი	—	13
2000	2000	პური	—	44
			—	80

ეს სია საინტერესოა იმის მხრით, თუ როგორ იკვებება გერმანიაში ტყვეები. გარდა ამისა აქ აღნიშნული ფასები ახასიათებენ გერმანიის სახელმწიფოს წეს-წყობილებას. ეხლანდელი გერმანია შეგნებული ადამიანისათვის წესიერად მოწყობილ სახელმწიფოს შეუდარებელ ნიმუშს წარმოადგენს. გერმანიის სახელმწიფოს განვითარების საფუძველი უმსგავსო ვაჭრობა და თამაში კი არ არის, როგორც საბრალო რუსეთში, არამედ დიდებული ისტორიული, ფსიხოლოგიური, მორალური, რელიგიური, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და სამხედრო გამოკვლევა და შეგნება წარსულის და აწმყო კაცობრიობის ცხოვრებისა. თუ ადამიანმა შეიგნო არსება გუშინდელი და დღევანდელი ცხოვრებისა მას ხვალინდელ ცხოვრების სარბიელზე გზა არ დაებნევა.

დღეს კი სამწუხაროდ საქართველოს საშინლად გზა დაბნეულია, მაგრამ იმედია, რომ იგი ხვალიდამ გზას მონახავს და გამონახავს საშუალებას, რომ ერთ კილოგრამ (2,44 რუსულს გირვანქას უდრის) პურს გერმანიულ ფასს დაადებს ე. ი. 80 პფენინგი რაც ეხლა უდრის 1 რუსულ მანეთს.

დროს დაყენება და დაკარგვა იქ მიაჩნიათ სიკვდილად. დრო მოგებულია—ყოვლისფერი მოგებულია.

შიმშილმა მოთმინება არ იცისო, თუმცა იქ ერი ითმენს და ჩვენც უეჭველია, მოვითმენთ იმ იმედით, რომ ყოველივე ჩვენგანი შეძლებისადაგვარად დაეხმარება ჩვენს მრავალ ტანჯულ, მაგრამ უკვდავ საქართველოს.

იქიდან ჩამოსული ვ. ქ.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა

ხეთო იაშვილი. მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა. მცენარეთა სამეფო (ბოტანიკა).

ამ სათაურით არის გამოცემული ქართული ბოტანიკა ბ. იაშვილისა. წიგნი შეიცავს 53 გვერდს, გამოცემულია ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოებისაგან.

მოგეხსენებათ, რუსის საშუალო სკოლაში ბუნების-მეტყველებას დიდხანს ავის-თვალით უყურებდნენ; ბოლოს მინისტრმა ვანოვსკიმ ოლენგ კარი გაუდო მას სკოლაში, მაგრამ მესამე კლასს ზევით ჯერ-ჯერობით ბუნების-მეტყველებას ფეხი არ გადაუდგამს. იქნებ ეხლაც ეშინიათ, რომ ბუნების-მეტყველება [illegible] გამოაცლის რჯულს და სარწმუნოებას და შეირყევა თვითმპყრობელობის ტახტი? არა, ამისი ეხლა აღარავის ეშინიან, და მაშასადამე, ბუნების-მეტყველებას ქართულ სკოლაში ფართოდ გაეღება კარი. როცა ქართულ სკოლებში რუსულ ენაზე ვასწავლიდით ბუნების-მეტყველებას, ჩვენ ვალდებულნი ვიყავით, მიგვეღო ერთ-ერთი რუსულად შედგენილი სახელმძღვანელო; სკოლებში გავრცელებული იყო შემდეგი სახელმძღვანელოები: „ზუსმანი“, „პოლიანსკი“, „ლევინი“, „შელენსკი“ და სხ. თუ გადავათვალიერებთ ამ სახელმძღვანელოებს, დავინახავთ, რომ ზუსმანი სახელმძღვანელოდან ბოტანიკას უთმობდა 144 გვერდს, შელინსკი 131 გვერდს, ლევინსკი 126, პოლიანსკი 118.

ბ. იაშვილმა კი ქართულ სკოლაში ბოტანიკას მხოლოდ 53 გვერდი დაუთმო. ბ. იაშვილი უეჭველია ასე ფიქრობდა: რუსულ ენაზე ქართველ მოწაფეთ შეეძლოთ შეესწავლათ 144 გვერდი, მაგრამ სამშობლო ენაზე თუ 53 გვერდი შეისწავლეს—საკმარისია, არა, ბ-ნო იაშვილო, თუ ბუნების-მეტყველებას კარს ჩაუკეტავთ, იგი სარკმლიდან შემოგვივარდებათ. შეიძლება ბ. იაშვილმა სთქვას: „კარგი სიტყვა მოკლედ ითქმისო“, მაგრამ აბა გადავათვალიეროთ მისი ნაწარმოები.

პირველ შვიდ გვერდზე შესავალია, წინასიტყვაობა და მერვე გვერდიდან იწყება „თესლი“.*) ბოტანიკის შესწავლა თესლიდან ჩვენ უმართებულოდ მიგვაჩნია და ამას ჩქარა დავანახვებთ მკითხველს. მერვე გვერდზე არის: „ლებნზე შუა მოთავსებულია პატარა ნასახი მცენარისა, ნასახი შესდგება კვირტისაგან და პაწაწკინტელა ფესვისაგან“. ეს მართალი არ არის, რადგან ლებანი გარდაქცეული ფოთოლია ნასახისა და ლებანიც ნასახის ნაწილია. აქვე ზევით ბ. იაშვილი ბძანებს: „ნასახში არის ცილოვანი ნივთიერება, რომელიც ნასახის საზრდოა“. მაშასადამე „კვირტში და პაწაწკინტელა ფესვში“ ყოფილა ცილოვანი ნივთიერება. ესეც ტყუილია. ლობიოს და მუხუდოს თესლში ცილოვანი ნივთიერება არ არის და ამათი თესლი ეკუთვნის „უცილო“ თესლს.

შემდეგ ამავე გვერდზე—„პურისა და შვრიის მარცვლის აგებულება სხვანაირია“.

რასაკვირველია მკითხველს ხორბლის და შვრიის მარცვალი, თესლი ეგონება, მაგრამ ეს ნაყოფია და არა თესლი; ავტორს რომ მცენარეების შესწავლა ყვავილიდან დაეწყოთ—მაშინ ასეთი გაუგებრობა არ მოხდება შეგირდი თავიდანვე სწავლობს, რომ ხორბლის მარცვალი „თესლიაო“ და შემდეგ კი შეასწავლიან, რომ ხორბლის მარცვალი „ნაყოფია“ და არა „თესლი“.

შვრია, ხორბალი, სიმინდი, ქერი—პუროვან მცენარეს ეკუთვნიან და როცა ავტორი ამბობს „პურისა და შვრიის მარცვალიო“, მე ეს არ მესმის, უნდა იყოს ხორბლისა და შვრიისა.

„ბოლქვს“ მე-15 გვერდზე ავტორი კარტოფილის გორგლებს (клубни) უწოდებს; ბოლქვი ჰქვიან ხახვის და ნივრის თავებს. (ჩუბ. ლექ.) მე-19 გვ. „შემოდგომაზე მცენარეს ფოთლები სცვივა, ხოლო იმ ადგილს, სადაც ფოთლები იყო მიბმული მცენარეზედ, გამოჩნდება კვირტები.“ კვირტები სხვდან ფოთლების იღლიაში და ადვილად სჩანან ზაფხულშიაც; იმ ადგილს საცა მცენარეზედ მიბმული იყო ფოთლები არაფერი არ ჩნდება. შემდეგ აქვე ქვევით: „საფოთლე და საყვავილე კვირტები“ მე ავრე არ გამიგია. რა საჭიროა ეს სიტყვები, როცა ქართველებს გვაქვს: კოკობი და კოკორი; პირველი ნიშნავს საყვავილე კვირტს, მეორე—საფოთლეს. მე-20-ე გვერდზე „ყვავილის უბუბულში ამართულია წვრილი ღერო, ამ ღეროს ჰქვიან „ბუტკო“, ბუტკოს თავს ჰქვიან „დინგი“.

ჩუბინიშვილის ლექსიკონში არის სიტყვა „ბუტკი, ბუტკო“ და ასე ხსნის: „გამონასკული ხილი შემდგომად დაყ-

---

*) თუმცა რუსული სახელმძღვანელოები თესლიდამ იწყობენ.

ეროვნული

ვავილებისა“ და მართლაც ამლად გამოსულ ხილს სრულიად ვერ მიეცემა ის მნიშვნელობა, რასაც ბატონი იაშვილი უწოდებს ბუტკოს (пестикъ); სიტყვა „დინგი“, რომელიც მიგვაგონებს ღორს და ყვავილის სურის ბაგეს შორის დიდი განსხვავებაა. რუსები ამბობენ „рыльце“ пестика და არა рыло пестика.

ამავე გვერდზე: ბუტკოს გარშემო უსხედან დეროები, ამ დეროებს ეძახიან „მტვრიანას“. ეს ტერმინი შეუფერებელია რადგან „მტვრიანი“ ნიშნავს მტვრით სავსეს; უფრო უკეთესი იქნებოდა, ავტორს ტერმინი „მტვრიანა“ ეწოდებინა არა „тычинка“-სათვის, არამედ пыльникъ-ისათვის. 21 გვერდზე ავტორი ხსნის ყვავილის განაყოფიერებას: „ამ მტვერს ბუტკოს გახსნილი თავი—დინგი იზიდავს (sic!) და ამით განაყოფიერდება. გამანაყოფიერებელი ყვავილის მტვერი ბუტკოზე გადააქვს ქარსა და მწერებს. ბუტკოზე გადატანილი ყვავილის მტვერი გაივლის ბუტკოს მილში და ჩადის ნასკვში“.

თუ „ბუტკოს დინგი“ იზიდავს (притягиваетъ) მტვერს, მაშინ ქარი და მწერები რა შუაშია?! ყვავილი მხოლოდ მწერების და ქარის საშუალებით ნაყოფიერდება და ბუტკოს მიზიდვის ძალა აღარა აქვს. ბუტკოზედ გადატანილი ყვავილის მტვერი რჩება „სურის ბაგეზე“ ანუ როგორც ავტორი ამბობს „ბუტკოს დინგზე“ და მხოლოდ მტვრის მარცვლიდან გამოსული სითხე წვრილ ლულებით მიემართება თესლკვირტისკენ რომელსაც ანაყოფიერებს.

მე-21 გვერდზე ავტორი ურევს ნაყოფს და თესლს,—ბძანებს: „ნაკერჩხლისა, იფნისა, თელის თესლს პატარა-პატარა ფრთები ასხია“. ნაკერჩხლის, იფნის და თელის ნაყოფს ასხია ფრთები და არა თესლებს.

მე-24 გვერდზე: „პროტოპლაზმაში სცურავს მარცვლების მინაგვარი გუნდები*)“, „გუნდი“ ნიშნავს გროვას და „ядро“-ს გამოსახატავად არ ვარგა.

მე-29 გვერდზე „ნახშირმჟავის შეთვისება მარტო სინათლეზე ხდება, ე. ი. დღისით“. მცენარე ითვისებს ნახშირბადს და არა ნახშირმჟავას.

მე-32 გვერდზე „ჯვარედინ ყვავილიანი“ შეუსაბამოა, რადგან ყვავილის ფურცლები ისე სხედან, რომ ჯვარი გამოისახება და ეწოდებინება „ჯვარყვავილიანი.“ ამავე გვერდზე „ცერცვოვანი“, არა სჯობს „პეპელოსანი“, რადგან მათი ყვავილი პეპელასა ჰგავს, ანუ „პარკიანები“, (бобовыя) რადგან ყველა ამ მცენარეების ნაყოფი პარკია. (ლექ. ჩუბინ.).

მე 33 გვერდი: „ამ მცენარეებს (პარკიანს) ჰაერიდან შეუძლიათ შეითვისონ თავისუფალი აზოტი“. ან სულ არ უნდა ეხსენებინა ავტორს ეს გარემოება და თუ სთქვა უნდა გაეგებინებინა მკითხველისთვის. ამ მცენარეს ფესვებზე აქვს პატარა მეჭეჭები, სადაც მრავალი ბაქტერიები ჰაერიდან იღებენ აზოტს და არა თვით მცენარე იღებს აზოტს მე 44 გვერდზე: „ფიჭვი ქვიშნარზე იზრდება“. ვარწმუნებ ბ. იაშვილს, რომ შავმიწიან ზეგნადაგზე უკეთესად იზრდება ფიჭვი; ტფილის გუბ. შატილოვის მამულში (სოფ. მახარო) შავმიწიან ზეგნადაგზე უკეთესად ხარობს ფიჭვი. შემდეგ მე 45 გ.: „ასე რომ ფიჭვის შტოები სართულებივით აწიან მაღლა-მაღლა, ამ სართულებით შეიძლება ფიჭვის წლოვანობის გაგება“. ეს პირველად მესმის. ცალკე მდგომარე ნაძვის და არა ფიჭვის შტოები, მართალია, სართულებივით აწიან, მაგრამ ტყეში გაზრდილი ნაძვი ადრე ჰკარგავს ქვედა ტოტებს.

შემდეგ მე 46 გვერდზე: „ღიღვათ ყვავილებიც ჯგუფ ჯგუფადაა, მხოლოდ ყლორტის წვეროშია მოთავსებული და ეწოდება „კორკოტანა“. „კორკოტანა“*) ბალბის ნაყოფია და ამავე სიტყვას ქართლში სოფლის გოგო-ბიჭები ხმარობენ მხოლოდ უწმაწური სიტყვით. წალკერში „კორკოტანას“-კი ეძახიან ჭიჭილებს. ჩუბ. ლექსიკონში „კენკრები“ ჰქვიან.

მე 46 გვერდზე: „სამი წლის შემდეგ თესლი (ფიჭვისა) შემოდის, მწიფდება“. არც ეს არის მართალი, რადგან ფიჭვის თესლი 18 თვის შემდეგ მწიფდება.

მე-46 გვერდზე: „სპორას ნასახს მთავარი ნაწილები მცენარისა არა აქვს“. განა სპორას ნასახი აქვს, რომ ბრძანებს ავტორი? მე-52 გვერდზე: „სხმლი... და სხვა ჩნდება თვალისათვის უჩინარ სოკოებისაგან, (sic!) რომლებსაც საზოგადოდ ბაქტერიები ეწოდება“. ბაქტერიები თვალ უჩინარი სოკოები არ არის; ბაქტერია უფრო მარტივი მცენარეა ვიდრე სოკო და სოკოთ მას არავინ სთვლის.

წიგნი თავიდან ბოლომდის რომ გადაიკითხოთ, მაინც ვერ შეიტყობთ—ზოლუსების თუ ქართული სკოლისათვის არის დაწერილი, რადგან მცენარეთა აღწერაში იხსენიება მხოლოდ ის მცენარენი, რომელნიც თითქმის ყველგან არიან გავრცელებულნი, ესე იგი, კოსმოპოლიტური მცენარენი, ტუჩყვავილები, შემდეგ პარკიანი მცენარენი, წიწვიანები, (?) ჩადუნა, ჯორის ძუა, ხასი, სოკო, და წყალმცენარენი (?). სად არიან ჩვენი სამშობლოს მცენარენი: ვაზი, ატამი, გარგარი, ბროწეული, ლეღვი, ბალი, ზღმარტლი, თუთა, მართუშა, შემდეგ—ლიმი, სიმინდი, ბრინჯი, სელი, ბამბა, თამბაქო, ოქროვაშლა, ტარხუნა, წიწმატი, ქონდარი, რეჰანი და სხვა? აი სწორედ ამაზე იტყვიან: „მამის სული გაუშვა, პაპისას ფიცულობდაო“.

რუსები რომ სწერდნენ კოსმოპოლიტურ სახელმძღვანელოებს, მათ მხედველობაში ჰქონდათ უდიდესი რუსეთი, ჩრდილო ყინულიან ოკეანედან არარატის მთებამდის გაჭიმული. წიგნის ავტორს-კი უნდა სცოდნოდა, რომ იგი სწერდა პატარა და ბუნებით მდიდარ საქართველოს სკოლებისათვის. შესანიშნავია რომ რაიმე პრაქტიკული მოსაზრება ან რჩევა მცენარეების შესახებ წიგნში სრულიად არ არსებობს.

ყოველ გვარი ზომები უნდა ვიხმაროთ, რომ შევასწავლოთ ყოველ მხრივ ჩვენი პატარა და მდიდარი სამშობლო; ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ ახალთაობას უნდა მიეცეს სკოლაშივე ზოგიერთი პრაქტიკული რჩევა მეცნიერებაზე დამყარებული. განა არ შეიძლება თესლის შესწავლის დროს ვუთხრათ, როგორ უნდა დაითესოს თესლი, ან როგორ უნდა გადაირგოს ჩითილი? ღეროს შესწავლის დროს—როგორ ხდება მყნობა, მაგალითად, კვირტით.

თუ ვეუბნებით შეგირდებს, რომ მცენარეთა შორის ბრძოლა არსებობს, განა არ შეიძლება ვუთხრათ—რა მნიშვნელობა აქვს თოხნას და მარგვლას?! მაგრამ ასეთ სახელმძღვანელოებს ჯერ-ჯერობით სანთლითაც ვერ ვიპოვნით და ბ. იაშვილის ბოტანიკას ასეთ მოთხოვნას ვერ წარვუდგენთ. მეცნიერებას მხოლოდ მეცნიერებისათვის ჩვენ სკოლაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს! მეცნიერება ცხოვრებისათვის—აი დევიზი ჩვენი სკოლისა.

დასასრულს ვიტყვი, რომ ბ. იაშვილის სახელმძღვანელო მოკლებულია: 1) მეცნიერულ მხარეს, 2) არ ეხება ჩვენ სამშობლოს და 3) არავითარ პრაქტიკულ რჩევას არ იძლევა და რა მიზანს ემსახურება იგი—ამის პასუხს ველით ავტორისაგან, რადგან შეიძლება წიგნის უმთავრეს მიზანს ვერ მივხვდით.

ახლო ხანებში განვიხილავ ავტორის პირველ წიგნსაც და კარგი იქნება, გამოსთქვას ავტორმა თავისი აზრი—რას უნდა ემსახურებოდეს ქართული სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა?

მ. ზაალიშვილი

---

*) ზოგან „კორკოტანა“.

**) სულ სხვა გუნდა.

თბილისის უნივერსიტეტი

შემოწირულებანი:

უნივერსიტეტის გამგეობამ მიიღო: ი. გველესიანისაგან ცხრა ცალი ჟურნალების „ცისკარი“ და „ივერია“; ხონის გიმნაზიის დირექტორის მ. გ. პაპავასიძისაგან 426 მან. და 50 კაპ.; ქუთაისის გამოცემის ამხანაგობა „განათლებისაგან“ ივ. ჯავახიშვილის „მსოფლიო ისტორიის პირველდაწყებითი კურსი, ნაწ. 1, ძველ საუკუნეთა ისტორია“; ალ. ჯაბადარისაგან მისი მდიდარი წიგნთ-საცავი; გ. თ. ქორდანიასაგან მისი მამის მიერ დატოვებული წიგნთ-საცავი სხვა და სხვა მდიდარი ძველი ხელთნაწერებით; მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტის ალ. ვლ. ტიხანოვიჩისაგან, განსვ. დ. ზ. სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ათასი მან.; მცხეთის მომხმარებელ საზოგადოების „ქერა“-საგან სამასი მან.; საერობო კავშირის აღმასრულებელ კომიტეტისაგან—კავშირის წიგნთ-საცავის 1087 ცალი სხვა და სხვა სამეცნიერო შინაარსის წიგნები; სვიმონ კლდიაშვილისაგან 62 წიგნი გერმანულ ენაზე და რამოდენიმე წლის სამეცნიერო ჟურნალები გერმანულსა და სხვა ენებზე.

უნივერსიტეტის გამგეობა უძღვნის მადლობას სწორეთ შემომწირველთ.

გერონტი ქიქოძის წიგნი
„ეროვნული ენერგია“

[illegible]

ეროვნულ დემოკრატ ახალგაზრდათა ორგანიზაციის გამოცემა. გამოვა დაახლოებით ენკენისთვის პირველ რიცხვებში 3—1

თბილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ თანახმად ამ წლის 17 ივნისის თათბირის დადგენილებისა ცხენებზედ გადასახადი ქალაქის სასარგებლოდ გადიდებულია 1918 წ. პირველ იანვრიდან—პირველი რიგის ცხენებზე 100 მან. მეორე რიგისა 80 მან. და მესამე რიგისა 50 მან., ხოლო ავტომობილების გადასახადი დანიშნული 100 მან. თვითეულ ცხენის ძალაზე. ვაცნობებთ რა ამ ავტომობილების და ცხენების პატრონებს, თბილისის ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს ერთი კვირის განმავლობაში ამ დღიდან შემოიტანონ 1918 წლის კუთვნილი დამატებითი გადასახადები ქალაქის სასარგებლოდ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გადასახადები დანიშნულ ვადაზე არ იქნა შემოტანილი, გამგეობა მკაცრ ზომებს მიიღებს.

(3—981—4)

დემოკრატიული კლუბი

მუშტაიდში ოთხშაბათს 10 მკათათვეს 1918 წ.

ქართველ მომღ. გუნდი ა. კავსაძის ლოტბარობით

მართავს 3 განყოფილებად

სახალხო კონცერტს

გამგე ნ. კავსაძე დასაწყისი 8 ნახევარ ს. დაწვრილ. პროგრამაში.

ოთხშაბათს 10 მკათათვეს

საქარ. ერ.-დ. პარტიის პირველ უბნის კომიტეტის

ბინაზე (ოლღას ქ. № 28) დანიშნულია

საერთო წევრთა კრება

ბ-ნი ვასილ წერეთელი წაიკითხავს მოხსენებას „სოციალისტური და ლიბერალური სისტემა“. წევრთა დასწრება სავალდებულოა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

სამშაბათს, 9 ივლისს, საღამოს 7 ს. სათავადაზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საქ. ერ.-დემოკრატ. პარტიის ქ. თბ. 2-ე რაიონის მცხოვრებ წევრთა საზოგადო კრება

გ. შალიკაშვილი წაიკითხავს მოხსენებას: „ქართველი ერის სულიერი მდგომარეობა და მისი მისწრაფება საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდან დღევანდლამდე“. 2—1

თბილისის ქალ. თვითმართველობა

აცხადებს, რომ სამშაბათს 9 ივლისს შუადღის 12 ს. ქალაქის გამგეობის შენობაში დანიშნულია იჯარით გაცემა (ტორგი) მიხეილის პროსპექტის მოკირწყვლისა. იმ პირთ, ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ტორგში, შეუძლია გაეცნოს კონდიციებს (პირობებს) სამშენებლო განყოფილების კანცელარიაში ოთხშაბათს და სამშაბათს საქმის წარმოების დროს. 2—977—1

მოითხოვეთ სამკურნალო
ბორჯომის წყალი

ერთად ერთი წარმომადგენელნი მიწათ-მოქმედების სამინისტროსი, ბორჯომის წყლის ექსპლოატაციისა, ამით აუწყებს ბითუმად (პარტიობით) მყიდველებს, რომ ფას-დაკლებით და ნისიად წყალი არავის გაეგზავნება. ვაგონების დაუყონებლივი მიწოდება უზრუნველყოფილია. მისამართი: ბორჯომის კანტორა „ბორჯომექსპორტი“. 10—973—4

საქართველოს ეროვ. დემოკ. პარტიის მე-III რაიონის ბიურო

ამით აცხადებს, რომ ცნობების მიღება და პარტიაში ახალ წევრების ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 10—2 და საღამოს 5—7 საათამდის. ბიურო იმყოფება ტურგენევის ქ., № 4 მესამე მომრიგებელ მოსამართლის დარბაზში.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის
ორგანიზაციის გამგეობისაგან

ქ. თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოხდა პარტიულ საქმის რეორგანიზაცია ქალაქში. ნაცვლად წინანდელ დანაწილებისა უბნებად, რომელიც დღეიდან მოსპობილად ითვლება, ქ. თბილისი დანაწილებულია ოთხ რაიონად შემდეგნაირად:

I რაიონი—მტკვრის ზევითა მხარე საბურთალოდან და ვაკიდან დაწყებული მოსკოვის ქუჩამდე და ვერის დაღმართამდე.

II რაიონი—მტკვრის ზევითა მხარის დანარჩენი ნაწილი—მთაწმინდა, სოლოლაკი და სხვ.

III რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან მოკიდებული დიდუბემდე და ნაძალადევამდე.

IV რაიონი—მტკვრის ქვევითა მხარე ვორონცოვის ძეგლიდან ორთაჭალამდე.

თბილისის მცხოვრებ პარტიის წევრებს ეძლევათ დაუყოვნებლივ მიიღონ სათანადო სარაიონო კომიტეტებისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებებზე დასწრება აეკრძალებათ.

თბილისის კომიტეტის ბიურო იმყოფება მთავარი კომიტეტის ბინაზე (სასახლის ქუჩა, № 5, ტელეფ. 15—73).

ბიურო ღიაა ყოველ დღე, 10—დ 2 საათამდე საღამოს 6—8 საათამდე

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა

ნ. ლ. ტურაშვილი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 12—2 შუადღ. და 4—5 საღ. შინაგანი, ბავშვების, სქესობრივი და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლაევის ქუჩა № 7, სიონოვანის აფთიაქის გვერდზე.

2 თვ.—1658.

ექიმი

გ. ი. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო დ-რ ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოთერაპიით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევს 3 ს.—5 საათამდე. ოლღას ქუჩა № 22.

ექიმი

გ. ნინამძღვრიშვილი

თიბათვესა და მკათათვეში იღებს ავადმყოფთ ქ. გორში 6—7 საათამდე, დეკანოზ ი. კაპანაძის ბინაზე

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ მ. მ. მძინარიშვილის და დ. ა. ნაზარეტიანის

სამკურნალოში იმართება კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით. მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნა“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნის ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის
ქაქელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვთათვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნორდ“-ის პირდაპირ ტელეფონი 14—23.

გაიხსნა

თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ექიმი დონხიოსა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალის კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141. (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონში.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

ქალანდარიშვილი

[illegible] ექიმი თბ. [illegible] კლინიკისა.

ბავშვთა, შინაგანი და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე.

ელექტრო-ტერაპია და მასსაჟი

მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

თ—1536—44

სტამბა „[illegible]“ [illegible] № 4